ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ 19-20 (1318) ოქტომბერი, 1969 წ.. გამოცემის 46-ე წელი, ფასი 40 კაპ.

# ნიანგი

საბჭოთა სატირულ-იუმორისტული ჟურნალები სტუმრად ჩვენთან.




ნახ. ჯ. ლოლუასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ულიანოვის დაბადებიდან თითქმის 100 წელი გავიდა, მაგრამ ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა წლებით არ იზომება. დაიწყო მისი სიცოცხლის ახალი სათვალავი—საუკუნეები. გავიდა მხოლოდ ერთი საუკუნე. დიდი ლენინი ცოცხლობდა, ცოცხლობს და მარად იცოცხლებს!

ახლა ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ეს სახელი, დაზგასთან დგას იგი, მეცნიერის მაგიდას უზის თუ საკოლმეურნეო შრომის ფრონტზეა, აერთიანებს ერთი მოწოდება—ღირსეულად შეხვდეს დიდი ბელადის იუბილეს!

ამ საერთო-სახალხო სამზადისში ჩაბმულია საბჭოთა სატირულ-იუმორისტული პრესაც, რომელმაც კარგად იცის, როგორ აფასებდნენ და რა ამოცანებს უსახავდნენ მას პროლეტარიატის ქურუმები.

„სიცილი ყოველგვარ სიბინძურეს კლავს“,—ამბობდა დიდი პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკი.

„სატირა არის „მრისხანე სიცილი“.—განმარტავდა პროლეტარიატის ტრიბუნი—ვლადიმერ მაიაკოვსკი.

„... ისინი (ლაპარაკია მუშებზე) უმეტეს შემთხვევაში ბრძოლას იუმორით აწარმოებდნენ, რაც თავიანთ საქმეში დარწმუნებულობასა და საკუთარი უპირატესობის შეგნების საუკეთესო დამტკიცებას წარმოადგენს“,—განმარტავდა ფრიდრიხ ენგელსი.

დიდი ლენინი გორკისადმი მიწერილ წერილში მიუთითებდა, თუ როგორ აფასებდა იგი კლასობრივი ბრძოლის ამ მნიშვნელოვანეს იარაღს და აცხ დებდა, რომ მას კარგად ესმის იუმორი. ვლადიმერ ილიას ძე ხაზგასმით აღნიშნავდა სატირის დანიშნულებას: „მავნეზე წერა, „წყრომის“ გარეშე, მოსაწყენად წერას ნიშნავს“.

ცნობილია კიდევ ერთი გამონათქვამი, რომელშიც აშკარად გამოსჭვივის პროლეტარიატის ბელადის დამოკიდებულება შინაურ თუ გარეშე მტრებთან ბრძოლის ამ უძლიერესი იარაღისადმი—სიცილისადმი. ვლადიმერ ილიას ძე წერდა: „ჩანს, რომ კაუცკი ისეთ ქვეყანაში წერს, სადაც პოლიცია ხალხს უკრძალავს „გროვად“ სიცილს, თორემ კაუცკი სიცილით იქნებოდა მოკლული“.

ჩვენი სატირულ-იუმორისტული პრესა ლენინიზმის იდეოლოგიური ფრონტის ავანგარდშია, მისი მახვილი შიშის ზარსა სცემს სოციალიზმის საქმის მტრებს.

ლენინის იუბილისათვის მზადების დღეებში „ნიანგმა“ გადაწყვიტა, თავისი გაერთიანებული ნომერი დაეთმო ჩვენს ქვეყანაში გამომავალი სატირულ-იუმორისტული ჟურნალებისათვის, რომლებიც წარმატებით იბრძვიან საბჭოთა ხალხის უკეთესი მომავლისათვის და თბილისში მოეწყო მოძმე რესპუბლიკების სატირიკოსთა ნამუშევრების თავისებური „გამოფენა“.

# სიცილის ქება

პირველად იყო სიცილი, რითაც მაიმუნობას დასცინა კაცმა...
სიცილი — სავსე მიწით და ცითა, სიცილი — შვება, სიცილი — ჯვარცმა!

კაცობრიობა სიცილით იშვა და ისტორია — ჭაღარა — მისი
ადამიანის უმაღლეს ნიჭად, ჭირთა მძლეველად აცხადებს სიცილს!

იგი მახვილით მსოფლიოს იპყრობს, გზას გულებისკენ ადვილად იგნებს
და უნარჩუნებს უცნაურ სითბოს გენიოსების უდიდეს წიგნებს!

იგი ებრძოდა შურსა და მტრობას, არ უდრკებოდა დროსა და მანძილს...
მარად და ყველგან მეექვსე გრძნობა იყო სიცილი კაცური კაცის!

სიცილი რწმენის ტაძარს აგებდა, აფოლადებდა ღონიერ მკლავთა...
ქართველი, ხმლით რომ ვერას აკლებდა, მომხდურს სიცილის მახვილით ჰკლავდა...

სასტიკ ომებში, როს აღსასრული დაუნისლავდა თვალებს ბინდისფრად,
ამოსდიოდა სიცილით სული და დასცინოდა თვითონ სიკვდილსაც!

დაუბრკოლებლად ყველგან მიმოდის, ცისარტყელების ცურავს ფერებში...
დიახ! სიცილი კაცობრიობის საოცრებაა უპირველესი!

ამსუბუქებდა სიცილი შრომას, ტეხდა ციხეს და ამსხვრევდა ბორკილს,
იგი არასდროს ყოფილა მონა, ანდა მორჩილი ამ წუთისოფლის!

მტარვალებს მუდამ შიშის ზარს სცემდა, მუდამ მგზნებარე კოცონად ენთო...
და ეშინოდათ, სიკვდილზე მეტად, სიცილის — ყველა ტირანს და დესპოტს!

ძველს და დრომოჭმულს უნდობლად სპობდა და გაბედულად ნერგავდა ახალს;
ხალხის გულსა და გენიას ფლობდა, იწოდებოდა ამიტომ ხალხად!

სიცილი ხალხის ქონაგი არის, მას მშობლად მხოლოდ ხალხი უცვნია.
სატირა საფლავს უთხრიდა ცარიზმს და მხარში ედგა რევოლუციას!

... ტყვიად იქცა და დენთად იფეთქა, გადაეფინა დროშებს სისხლისფრად...
და, ამიტომაც ცხრაასჩვიდმეტმა თავისუფლება მისცა სიცილსაც!

ჰოდა, ლენინმა ძალა სიცილის მტრებს დაატეხა მთელი სიმძიმით!..

— : —

თავის ფურცლებზე დღეს სტუმრად იწვევს „ნიანგი“ ძვირფას თანამოკალმეთ.
ვიდრე ხედავენ სატირის მიზეზს, მუდამ არჩევენ მტერს და მოყვარეს!

**ნიანგი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# КРОКОДИЛ

კროკოდილი — მოსკოვი.

ლეონიდ ლენჩი

## ლენინი და ჯუჯა

ჯ უ ჯ ე ბ ი არსებობენ როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერადაც...

ფიზიკურად ჯ უ ჯ ა ტ ი ე რ ი ა, რომელმაც თავისი პატარა, მტაცებელი და დაუნდობელი ხელებით დაახრჩო პარიზის კომუნა. იგი სულიერადაც ჯუჯა იყო და წარმოადგენდა ორივე ჯუჯის თვისებათა საზიზღარ ჰარმონიულ მთლიანობას.

წიგნის — „ლ ე ნ ი ნ ი დ ა მ ს ო ფ ლ ი ო რ ე ვ ო ლ უ ც ი ა“ — ავტორის, ამერიკელი სტენლი პეიჯის ფიზიკური სიმაღლე ჩემთვის უცნობია, მაგრამ თავისი სულიერი პარამეტრებით იგი ტიპური ჯუჯაა, რომელმაც თავის საცოდავ ჯუჯა ბეჭებზე აიკიდა ისეთი ტვირთი, როგორიც ლენინის კრიტიკაა.

„რა თქმა უნდა, ეს იყო ნიჭიერი მარქსისტი, — ბუტბუტებს სულიერად ჯუჯა პეიჯი, — მეფის მთავრობა, რომელმაც სიკვდილით დასაჯა მისი ძმა, პირადად მას გულმოწყალედ მოექცა, თუმცა ვლადიმერ ულიანოვი ალექსანდრე ულიანოვზე გაცილებით საშიში იყო. უნდა ითქვას, რომ ლენინს უბრალოდ გაუმართლა. ყველაფერი, რისი გაკეთებაც მან შეძლო, ბედნიერი შემთხვევის გამო მოხდა“, — აცხადებს პეიჯი და შემდეგ ასე ავითარებს თავის უბადრუკ ნააზრევს:

„ლენინისა და ბოლშევიკების პოპულარობა ევროპელ სოციალ-დემოკრატთა შორის წმინდა შემთხვევითობაა. ხელისუფლება რუსეთში ლენინმა და ბოლშევიკებმა შემთხვევით აიღეს. ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებაც გერმანელებთან მხოლოდ ბედნიერი შემთხვევა იყო. ამ „ამოსუნთქვის“ გარეშე ხომ ბოლშევიკებს ბოლო მოეღებოდათ და ლენინიც დარჩებოდა რიგით მარქსისტ მწერლად“.

...ალბათ, იმავე ბედნიერმა შემთხვევამ შეახვედრა პეიჯის მამა პეიჯის დედას და იმავე ბედნიერი თუ უბედური შემთხვევის გამო მათ დაებადათ ვაჟი, სახელად სტენლი. ხომ შეიძლებოდა, დაბადებულიყო გოგო?

ბიჭი გაიზარდა და შემთხვევით დაწერა წიგნი ლენინზე.

ყოვლად შეუძლებელია, სერიოზულად იდავო ჯუჯა პეიჯის შეხედულებებზე ლენინის შესახებ.

ნათქვამია, კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო.

სტენლი პეიჯი, ყველა ნიშნის მიხედვით, არ ეკუთვნის „კარგ გამგონეთა“ რიცხვს.

მას არ უნდა გაიგოს ის, რომ ლენინი და მისი პარტია თანდათან ამზადებდნენ რუსეთში სოციალისტურ რევოლუციას, რომ ლენინმა განჭვრიტა იმპერიალისტური ჯაჭვის გაწყვეტა სწორედ სუსტ რგოლში...

ბევრ რამეს ვერ იგებს საწყალი ჯუჯა სტენლი პეიჯი.

მინდა მივმართო მის ბატონებს — ცივი ომის პოლიტიკის მესვეურებს, ანტიკომუნისტური კაკაფონიის გააფთრებულ დირიჟორებს, რომლებმაც ლენინის წინასაიუბილეო დღეებში წამოიწყეს ეს უხამსი, სამარცხვინო ლაყბობა:

— როგორ არ გრცხვენიათ, ბატონებო, ასე მძიმე ტვირთს რომ ჰკიდებთ ზურგზე თქვენს საცოდავ სტენლის? იგი ხომ ასე პატარა, უმწეო და გონებასუსტია?!.



ეროვნული ბიბლიოთეკა




— ამბობენ, ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიაში ბევრი ძველი ნაცისტიაო...

— ცილისწამებაა, ბატონებო! ძველი რად გვინდა, ჩვენ ახლებიც გვყოფნის.




ნახ. გ. ანდრიანოვისა

— როგორ გეკადრებათ, რისი ქრთამი?! ეს თქვენ დაბადების დღეზე მოგართვით!
— ჩემი დაბადების დღე 7 თვის შემდეგაა.
— თქვენც აიღეთ და შეინახეთ!

ს. გორსკი

# „ქალიშვილები შაბათობით ცეკვავენ"

ჰოლივუდმა მსოფლიო კიდევ ერთი შედევრით „გააბედნიერა": ნაწარმოები მოგვითხრობს, უკაცრავად პასუხია და... საროსკიპოში მომხდარ გაფიცვაზე. გაფიცვის საბაბი ერთ-ერთი აქაური მომხმარებელია. ქალიშვილები ბოიკოტს უცხადებენ მოხუცს, რომელიც მათი მუდმივი ხელგაშლილი მუშტარია და ჩვეულებრივი გარყვნილი მამაკაცებისაგან არაფრით განირჩევა, მაგრამ „ბანოვნებს" არ მოსწონთ მოხუცი იმის გამო, რომ იგი ვიზიტს არაჩვეულებრივად ამთავრებს, საყვედურობს მათ ამქვეყნიური ცოდვებისათვის. საუბრის დროს მას ბლომად მოჰყავს ციტატები „სახარებიდან". ამ კაცის უცნაური ლოგიკა უნებურად დაგაფიქრებთ, როცა ნახავთ ისრაელის ტურისტულ ფირმათა სარეკლამო პროსპექტებს დასავლეთ ევროპისა და ამერიკის გაზეთებში.

„ჩამოდით ისრაელში! ელატში კინო შაბათობითაც კი მუშაობს, ხოლო ქალიშვილები ცეკვავენ სამხედრო მუნდირებში. 199 დოლარად თქვენ გელით თაფლობის ღამეები ოტელ „დედოფალ სავსკაიაში"

ამ მოწოდებაში ბოლომდე არ არის განმარტებული, რა ურთიერთობა აქვთ „თაფლობის ღამეებს" ქალიშვილებთან, რომლებიც შაბათობითაც კი ცეკვავენ და თანაც სამხედრო მუნდირებში.

„დედოფალ სავსკაიას" რბილი სარეცლის შემდეგ მათ უწყობენ „სახარების" მორალისმაგვარ შთაგონებას. დაჰყავთ ოკუპირებული არაბეთის ტერიტორიაზე, აჩვენებენ აქ გაყვანილ უბრწყინვალეს გზატკეცილებს, მაგრამ იმაზე, რომ აქ გზებს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ, ბუნებრივია, გიდები სდუმან.

ქალიშვილებს ვარდისფრად უხატავენ თავისუფლებისა და დემოკრატიის სურათს. გიდები ამტკიცებენ, რომ „ისრაელში მოქალაქეებს სამხედრო სამსახურსაც კი არ აიძულებენ" (თუმცა აქ მეოთხედმილიონიანი არმიაა და ქალებსაც კი იწვევენ ჯარში!)

ასე რომ, ამ თემაზედაც ჰოლივუდში თავისუფლად შეიძლება გამოაცხონ კიდევ ერთი ფილმი. სათაურიც მზადაა: „ქალიშვილები შაბათობით ცეკვავენ".



ეროვნული ბიბლიოთეკა

— საამქროებში პირველად მივდივარ და გზა რომ არ დამებნეს...




ნახ. ა. ცვეტკოვისა

ჩიკაგოში განგსტერს ასაფლავებდნენ.

— ეჰ, ვინც რა უნდა თქვას, — აღნიშნა მისმა კოლეგამ, — ასეთი კაცი უკვე აღარ დაიბადება!..

— აბა! მისი ტყვია არასოდეს აცდენია მიზანს.

— ახლა დანას როგორ ხმარობდა, აღარ იკითხავ!

— შენ ისა თქვი, მაგაზე უფრო სწრაფად ვის შეეძლო გაეხსნა ბანკის სეიფი?

— აფსუს, რამდენი კაცი ჰყავს მოკლული?!

ლაპარაკში ჩაერია ნამტირალევი მეუღლე:

— თქვე უსინდისოებო, რატომ სიცოცხლეში არ აქებდით ასე?

*

— წარმოგიდგენიათ? გუშინ ავტობუსის კონდუქტორი ისე მიყურებდა, თითქოს მე ბილეთი არ მქონდა.

— მერე შენ რა ჰქენი?

— მე კი ისე ვუყურებდი, თითქოს მქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა




გრაკონიერის თვალთახედვა.

# კაპიტალისტის ფილოსოფია

ხლამიდან — ქაღალდი.

ქაღალდიდან — გროში.

გროშიდან — ბანკი.

ბანკიდან — სესხი.

სესხიდან — ვალი.

ვალიდან — ლატაკი.

ლატაკიდან — ხლამი.

...და ყველაფერი თავიდან.



ერთ ბრწყინვალე კომუნისტ ორატორს პარლამენტში მოწინააღმდეგე ბანაკიდან ვილაცამ კომბოსტოს თავი ესროლა. ორატორი არ დაიბნა და განაცხადა: ჩემი სიტყვის გამო, როგორც ჩანს, დარბაზში ვილაცამ თავი დაკარგა. გთხოვთ მოაკითხოთ, იგი ჩემს ხელშია!

## მართლა საფიქრებელია!

არასდროს გიფიქრია, რას იზამდი, იმდენი ფული რომ გქონოდა, რამდენიც როკფელერს აქვს?

— ეგ არა და, ის კი ვიფიქრე, რას იზამდა როკფელერი, იმდენი ფული რომ ჰქონოდა, რამდენიც — მე.




„შავმა კატამ გზა გადამიჭრას"
შებრუნებული ვარიანტი.

ეს იყო ძველ დროში. ეკლესიასთან იდგნენ გიმნაზისტები და წიგნები გაეშალათ. მოვიდნენ ჯარისკაცები. ერთმა რომ დაინახა, აქ წიგნებით ლოცულობენო, ამოიღო კარტი და გაშალა.

— შენ, ეი! რას მიჰქარავ? — დაუღრიალა ოფიცერმა.

— ბატონო ოფიცერო, მე ამ კარტში მეტს ვხედავ, ვიდრე ისინი ამ წიგნებში. აი, მაგალითად: ტუზი — მზეა, მეფე — მამაზეციერი, ქალი — ღვთისმშობელი, ათიანი — ათი მცნება, შვიდიანი მარხვაა... — და მან მთელი კარტი ასე გადათვალა, ვალეტის გარდა.

— ვითომ ვალეტი რატომ გამოტოვე?.. — უყვირა ოფიცერმა.

— ოფიცრები წმინდანებში არ გადიან, — მიუგო ჯარისკაცმა.

ჩემი ბაბო ღვთისმორწმუნე იყო და წირვას არ აცდენდა ,მაგრამ ერთხელ ისეთი წირვა გამოუვიდა, რომ იმის შემდეგ ეკლესიაში აღარ მიესვლება.

ჩემი ბაბო, ღვთისმოყვარულობის გარდა, შეთავსებით რადიომოყვარულიც არის და განსაკუთრებით უყვარს გადმოცემები კოსმონავტებზე.

ამ ბოლო დროს მაინც სულ კოსმონავტები ეკერა პირზე და, ამ მისთვის უკანასკნელი წირვის დროს, როცა დიაკვანმა „დიდება უფალს, დიდება უფალსო“, უკარნახა მრევლს, ვიღაცამ ხალხიდან „ბანი“ მისცა — „დიდება კოსმონავტებსო!“

ეს იყო ჩემი ბაბო. იგი იცნეს ღვთისმგმობლად და ეკლესიიდან გამოაბრძანეს.

— ბიჭებო, ვის გიყვართ მუსიკა?

შეკრებილთაგან ხელი ასწია ათმა კაცმა.

— აგაშენათ ღმერთმა! წავედით, მესამე სართულზე პიანინოა ასატანი!

პეტრო ეუბნება მიკოლას:

— წამომყევი სოფელში!

— ეჰ, მომეშვი ერთი!..

— რატომ?

— რატომ და, სოფელში არყით სულს ხდიან კაცს.

— შენც დაიჯინე და ნუ დალევ!

— ჯინიანი კაცი რომ არა ვარ.

ერთი მხატვარი ეკლესიაში „საიდუმლო სერობას“ ხატავდა. მღვდელი მაშინ მოვიდა, როცა მან თერთმეტი მოციქული დახატა.

— სადაა მეთორმეტე? — შეიკრა წარბები ეკლესიის მსახურმა.

— მეთორმეტე, მამაო, არაყზე გაგზავნეს.

მღვდელი გლეხებს უქადაგებდა: თუ ყველა ტანჯვას აიტანთ სააქაოში, საიქიოში სამოთხე გელითო.

— ჩვენი ბატონიც სამოთხეში მოხვდება? — ჰკითხეს გლეხებმა.

მღვდელი ოფლში გაიწურა და თქვა, ბატონიც სამოთხეში მოხვდებაო.

— არც ეგ ბატონი გვინდა არც მასეთი სამოთხეო, — იყვირა მრევლმა.

აშშ-ში განგსტერებმა ბანკი გატეხეს და დიდძალი თანხა გაიტაცეს.

— აბა, დავთვალოთ, ჯონ, რამდენია?

— ტყუილი გარჯაა, ჯეკ! ხვალ გაზეთებში წავიკითხავთ.



მეფის ოფიცერმა ჯარისკაცებს უბრძანა:

— სწორდით!.. რაა მანდ, რომ ტრიალებს?

— დედამიწა! — ჩაილაპარაკა ვიღაცამ მწყობრში.

— ვინ თქვა ეს?..

— კოპერნიკმა.

— კოპერნიკო!.. ერთი ნაბიჯით წინ!.. — გასცა განკარგულება ოფიცერმა.

პერეცი — უკრაინის სსრ. კიევი.

# ПЕРЕЦЬ

УРКІНА.

74844

ნახ. ა. ჩურკინასი

— ასეთი „შრომის წიგნაკით“ დიდი პენსია დაგენიშნებათ!

— З такім паслужным спісам вы можаце разлічваць на вялікую пенсію.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალენტინ ზუბი

# როცა დაინტერესდნენ

**ერთხელ** დაინტერესდნენ, რამდენი თანხა იდო სალაროში. დაინტერესდნენ და ნახეს, რომ უწყისებით უნდა ყოფილიყო ერთიანი ოთხი ნოლით. მერე დაინტერესდნენ და ნახეს თვით სალარო. ნახეს, მაგრამ რა ნახეს! იქ არავითარი ერთიანი არ იყო, იყო მხოლოდ ნოლები. როცა კიდევ უფრო დაინტერესდნენ, გაიგეს: მოლარე სიდოროვი კი არ ყოფილა, სიდოროვად რომ ასაღებდა თავს, არამედ პეტროვი, რომელსაც დიდი ხანია დაეძებდა მილიცია. როცა „კიდევ უფროზე“ კიდევ უფრო დაინტერესდნენ, ისიც გაიგეს, რომ მოლარე უნდა გაემგზავროს არა სამხრეთში, სადაც უკვე საგზური აქვს, არამედ ჩრდილოეთში და არა კურორტზე, არამედ...

ახლა კი ყველაფერი გასაგები იყო და როცა ყველაფერი გასაგები იყო, ყველამ ყველაფერი გაიგო.



## Вожык

ვოჟიკი — ბელორუსიის სსრ. მინსკი.



ნახ. ს. ვოლკოვისა

— მე კი, ჩემს უფროსთან ასე რომ ვდგავარ, მლიქვნელს მეძახიან.

### ერთ ყურში შეშვებული

**მე** მას პირში ვეტყოდი იმას, რასაც ზურგსუკან ვამბობ, მაგრამ ზურგსუკან პირი რომ არა აქვს!?

**იმდენი** იკითხა თამბაქოს მავნებლობაზე, რომ, როგორც იქნა, თავი დაანება... კითხვას.

**გრაფომანის** სალამია: „სდექ! არ გაინძრე! წაგიკითხავ ლექსს!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა




უსიტყვოდ.

# ՈԶՆԻ

ვოზნი — სომხეთის სსრ. ერევანი.

## უნებლიე სატირიკოსები

(ამონაწერები რედაქციაში შემოსული წერილებიდან)

„**დაკარგული** ცხვრების საკითხი კოლმეურნეობის გამგეობამ განიხილა, მაგრამ არც ერთი მათგანი პასუხისგებაში არ მისცა“

„**იმათი** კანალიზაცია პირდაპირ ჩემი ცხვირის ქვეშაა და კიდევ მე მეუბნებიან, სხვის საქმეში ცხვირს ნუ ყოფო“.

„**ვარაზდატი** თავის ავტობიოგრაფიაში წერს, რომ არასოდეს შეურთავს ცოლი, მაგრამ საბინაო კომისიამ გაარკვია, საიდან და როგორ ჰყავდა მას ორი შვილი“

მოაგროვა ედ. სარქისიანმა

## მოწონების პრობლემა

თუ დაიბადე და ხალხში გაერიე, კიდევაც უნდა მოწონდე ყველას. პირველ რიგში სასიამოვნო უნდა იყო ცოლისათვის. მეუღლეს უყვარს, რომ არა ვსვამ. ამხანაგს კი მოწონს რომ ვსვამ. მეუღლეს უნდა, რომ თმები ვატარო „ბითლზის“ ფორმით, სიამოვნებს, ხელფასი მთლიანად სახლში რომ მიმაქვს. ამხანაგებს მოსწონთ, როდესაც ხელფასს მთლიანად ვტოვებ რესტორანში. ამიტომაც დღეში რამდენჯერმე ვიცვლი ფერს, ხმას, თმებს. სახლში მივდივარ „ბითლზით“, გამოვდივარ მელოტი, მარჯვენა მეზობელთან ვჭორაობ მარცხენა მეზობელზე, მარცხენასთან — მარჯვენაზე. ხელფასის პირველი ნახევარი ჩემს მეორე ნახევართან მიმაქვს მთლიანად, მეორე ნახევარს კი რესტორანში ვტოვებ.

ყოველნაირად ვცდილობ, ყველას ვასიამოვნო. ვიცი, ვიმანჭები, ვატყუებ. ერთი სიტყვით ყველას მოვწონვარ. მხოლოდ ერთს არ მოვწონვარ. ეს ერთი მე ვარ!

ა. აივაზიანი



ნახ. ფ. დარბინიანისა

— სულ უცხოური რომ გაკერია პირზე, ა, ბატონო, შენთვის იმპორტული ლეღვის ფოთოლი ვიშოვნე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



— ვინა თქვა, რომ ზუსტი დარტყმა არა მაქვს?!

ნახ. გ. რიჟვანისა

# რობაიები

თუმცა ვარ დაბალი, კისერი მაქვს
საკმაოდ სქელი;
ხუთამდე ფუთი მუცელი მაქვს
ჩემდა თავადა;
მიყვარს ჭამა და ვარ ჭიქების
ბოლომდე მცლელი,
ფერმის ცხვრები კი გადაიქცნენ
ძვლად და ტყავადა.

მე წუთისოფლის სტუმარი ვარ,
ყველამ იცოდეს.
ცხოვრების სიტკბოს არ მოვიკლებ
ნებით თუ ძალით.
სატრფოს დავეძებ, მინდა მისი
ეშხით ვიწვოდე,
მე კი დამეძებს ხუთი ბავშვი
და სამი ქალი.

ნახ. ზ. ქერიმბეილისა



დ ე დ ა: რატომ ათხოვებ გოგონას, ის ჯერ ხომ სკოლაშია?!

მ ა მ ა: სკოლა რა, სასიძო ხომ არ არის? ცოტას დაიცდის!



კირპი — აზერბაიჯანის სსრ. ბაქო.



ინტრიგანი: ერთი მიხედეთ, ჩემი მეზობელი რა ღრმა კვალს ტოვებს?!

ნახ. ა. კამბაროვისა




დასავლეთ გერმანიაში ისევ წამოყავს თავი ნეოფაშისტებმა.

ნახ. ს. სუბხონოვისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერთხელ ნასრედინ ეფენდიმ თქვა:



# МУШТУМ

მუშთუმი — უზბეკეთის სსრ. ტაშკენტი.

**ერთმა** პოეტმა ნასრედინს უთხრა:

— მოლა ნასრედინ, თქვენ ყოველთვის აკრიტიკებთ ჩემს ლექსებს. საინტერესოა, როგორ მოიქცევით, წერას რომ თავი დავანებო?

— ოო... ალაჰ! გული გამისკდება.

— რატომ? — გაკვირვებით იკითხა პოეტმა.

— სიხარულით! — უთხრა მოლამ.

**ერთი** პოეტი სულ კუდში სდევდა ნასრედინს და თავის ლექსებს უკითხავდა. ბრძენმა აღარ იცოდა, სად დამალულიყო, ოღონდ ეს ტანჯვა აეცილებინა.

ერთხელ მოლა პირისპირ შეეფეთა პოეტს, თავი ვერ აარიდა და ამ უკანასკნელმაც არ დააყოვნა — ჯიბიდან დააძრო დიდი შეკვრა უნიჭო ლექსებისა.



ეფენდიმ სხვა ველარაფერი მოახერხა და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, დაუსტვინა, რათა პოეტის ხმა ჩაეხშო.

— რას ჰგავს ეს სტვენა, ეფენდი? რატომ არ მისმენ? — გაბრაზდა პოეტი.

— როგორ არ გისმენ? ვერა ხედავ, შენს ლექსზე მუსიკას ვწერ! — უპასუხა მოლამ.

ნახ. ნ. იბრაგიმოვისა



— დღეს არ მცალია, ქიმიაში ვმეცადინეობ.



— რაზე ხსნით სამსახურიდან?
— რძენა გამიგედა.


ნახ. ხ. ფადეევისა

უსიტყვოდ.

# ҺӘНӘК

ხენეკ — ბაშკირეთის ასსრ. უფა.

მარატ ქარიმოვი

## ტურისტულ ავტობუსში

— ძვირფასო ექსკურსანტებო! ჩვენ მივემგზავრებით ჩვენი ძვირფასი დედაქალაქის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად. მე, როგორც ექსკურსიამძღოლი, გაგაცნობთ ღირსსახსოვარ ადგილებს, რომლითაც ასე მდიდარია ქალაქი. გარწმუნებთ, იმედი არ გაგიცრუვდებათ. ასევე თქვენი თვალით ნახავთ, როგორი პირმომღიმარი და სტუმართმოყვარე ხალხია აქაურები. ან კი რა გასაკვირია, დედაქალაქია, სულ სხვაა აქაური კულტურა!

მე თვითონ, წარმოშობით, ამ ქალაქში წარმოვიშვი. ვფიქრობ, უცებ ვიპოვნით საერთო ენას. წინასწარ შევთანხმდეთ: მოვითხოვ აბსოლუტურ ყურადღებას, თორემ რა გამოდის, გუშინ ერთი ტიპი სულ ფანჯარაში იყურებოდა და მე არ მისმენდა. ვერ ვიტან ისეთებს, ყველაფერი რომ იციან და არავის უსმენენ. პირდაპირ აუტანლები არიან, ახლოს ვერ მიეკარები .სწორედ მათგან იბადებიან ბიუროკრატები. ასეთები კი ჩვენში ცოტა როდია. ჩვენი სტატისტიკა ამაზე რატომღაც სდუმს. ასეთ ფაქტებს კი დუმილით არ უნდა ვუვლიდეთ გვერდს... თქვენ, ეი, მოქალაქევ! ბოლო სკამზე რომ ზიხართ, რა გადაუჩურჩულეთ თქვენს მეზობელს?.. გრცხვენოდეთ! ახლა არ გაფრთხილებდით?! თქვენ კი ერთი ყურიდან შეუშვებთ და მეორიდან... შეაყარე კედელს ცერცვი! ტანჯვაა ასეთ ხალხთან მუშაობა. შეკრებენ სოფელ-სოფელ ასეთ გაუთლელებს და გვიგზავნიან. შენ კი იტანჯე მათთან, აღზარდე, გაანათლე, ასწავლე კულტურა. ოხ, ღმერთო ჩემო, როგორ მიძლებს ნერვები? აი, გუშინ, მთელი ღამე არ მომიხუჭავს თვალი, რისი ბრალია? ნერვების! ვისი ბრალია? იმ გუშინდელი ექსკურსანტის!



თუ როგორც ექსკურსიამძღოლს არ მცემთ პატივს, პატივი მეცით, როგორც ქალს! მიეჩვიენ სახლში ვაჟბატონები ცოლებთან სითამამეს და აქაც სახლში გონიათ თავი. აბა, აბა... ასეთები არ იყოს! ნებას არ მოგცემთ, გამოავლინოთ ფეოდალური გადმონაშთები! როგორმე ვიცით კანონები!.. შენ, ეი... სათვალიანო! რატომ მაწყვეტინებ სიტყვას?.. შენს შლაპას მაინც ეცი პატივი. სოფელში ხომ არ გგონია თავი, თვალი გაახილე, ეს ქალაქია, ქალაქი!

აქაო და სოფლის მოწინავენი არიანო, პატივი ეცითო. თქვენ კი, თქვენ არ გევალებათ პატივი გვცეთ?! ეფერე ახლა ამათ... ოხ, ღმერთო ჩემო, თავი ამატკივეს... მადლობა ღმერთს, მარშრუტი მთავრდება!

— ძვირფასო სტუმრებო, თქვენ გაეცანით ჩვენს დედაქალაქს, ნახეთ მისი ღირსშესანიშნაობანი, შეხვდით მის საუკეთესო ადამიანებს... ვფიქრობ, ეს ექსკურსია თქვენზე დაუვიწყარ შთაბეჭდილებას დატოვებს და იტყვით: „დიდი მადლობა!“ მე კი გიპასუხებთ: „მოხარული ვარ გემსახუროთ. მომავალ შეხვედრამდე, მეგობრებო!“


ნახ. ი. ანდროპოვისა

ბონის „ფანტაზია“ რევანშისტულ მოტივზე.

## გამოცდილების ტრიბუნა

— ახლა კი, მეგობრებო, — წამოდგა თავმჯდომარე, — სიტყვას ვაძლევთ ხალფეტდინოვს, რომელიც ეს-ესაა დაბრუნდა შემოქმედებითი მივლინებიდან, სადაც მიიღო გამოცდილება გამოცდილი სპეციალისტებისაგან.

— მაშ მე დავიწყებ იმით, რითაც მასპინძლებმა დაიწყეს... მე შენ გეტყვი და სალაპარაკოდ არ ღირს... ავიღოთ მათი მასპინძლობა. შეგვხვდნენ მუსიკით, ჩაგვსვეს გაწკრიალებულ მსუბუქ ავტომანქანებში და გვაჯახეს მსუბუქი საუზმე...

— უმჯობესია, კოლმეურნეობაზე, გამოცდილებაზე, შრომის ტემპებზე ილაპარაკო!..

— ჩემი თავი გენაცვალოთ... ეს იგი, კოლმეურნეობაზე, შრომაზე... „ვინც არ მუშაობს, ის არც ჭამს!“ ზუსტად ისე, როგორც ჩვენთან, კედელზე წარწერაა გაკრული... ახლა ტემპებს არ იკითხავთ?.. მაგალითად, ჩვენ რამდენიმე წუთში ისეთი სუფრა გაგვიწყვეს, ჩიტის რძეც არ აკლდა. განსაკუთრებით მომეწონა ერთი კერძი, მგონი სახელად... მოითმინეთ... — მომხსენებელმა სამახსოვრო წიგნაკი ამოიღო და მონიშნულ ადგილზე გადაშალა. — დიახ, მისი სახელია ვაკ-ბალეში!

— კაცო, შენ საქმეზე ილაპარაკე, რას და როგორ აკეთებენ?

— ჩემი თავი გენაცვალოთ... დიდი სიამოვნებით, მაგრამ როგორ აკეთებენ იმ კერძს, შეფმზარეულისთვის არ მიკითხავს, ისე იყო გართული ვახშმის სამზადისში.

ზულფარ ხისმატულინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ХОРПУШТАК

ხორპუშტაკი — ტაჯიკეთის სსრ. დუშანბე.




ნახ. ხ. რასულოვისა

კლუბის გამგის პორტრეტი.




ნახ. შოკაიევისა

— ბედნიერია ამისი ქმარი, ერთი ცოლი და ამდენი ხელი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ა. ლატინინისა




იმპერიალისტურ დუდუკზე მოცეკვავე და ოკეანისგადაღმელი ფაკირი.

ზოგჯერ პატარა დეტალის უქონლობაც იწვევს სასოფლო-სამეურნეო მანქანების მოცდენას.

— „შაიბა", ერთი „შაიბა"!



# АРА

არა — ყაზახეთის სსრ. ალმა-ათა.

ლეონას კრავლეიკის

# ჩემი სამალავი

**ჩემმა** მეგობარმა ადასმა სამსახურში დამირეკა და მითხრა, რომ საავადმყოფოდან რეკავს, სადაც სასწრაფოთი მიიყვანეს და ბრმა ნაწლავი ამოჭრეს...

— ძმა ძმისთვის, შავი დღისთვისო... შავ დღეში ვარ, ახლავე აქ გაჩნდი!

მაშინვე ვიყიდე ერთი ქილა კონფიტიური, საღამოს გაზეთი და... ჰაიდა! ეტყობა, რაღაც დამსახურებისათვის უკვე მიუღწევია თეთრხალათიანებში, რადგან ცალკე პალატაში იწვა.



— კაცი არა ხარ? თუ ძმა ხარ, 2 საათით მათხოვე შარვალი, ერთი კვირაა, ოპერაცია გამიკეთეს, მხეცივით ვარ და ტანსაცმელს არ მაძლევენ, რომ სახლში წავიდე,— მითხრა მან მოულოდნელად.

აბა, რისი ძმაკაცი ვიყავი, უარი რომ მეთქვა!..

ასე აღმოვჩნდი 2 საათით საავადმყოფოს სარეცელზე მიჯაჭვული.

რაღაც დეტექტივს ვკითხულობდი, უცებ კარებმა გაიჭრიალა. ზეწარი გადავიფარე და გავისუსე.

როცა ვიღაცამ ხელების ფათური დამიწყო და ცხელი პლასტმასის ლულით დამადგა თავზე, მაშინ მივხვდი, რომ ეს იყო ოყნა!.. ჯანდაბას, წამალი მაინც წამალია, რა იცი, იქნებ კიდეც შეაჩეროს თმების ცვენა (მე სხვა არაფერი მაწუხებს).

მედიცინის ერთი და წავიდა და მოვიდა მეორე.

..და ამათ ჰქვიათ მოწყალების დები!.. იმ მეორემ სრულიად უმოწყალოდ დამარტყა ნემსი, შემდეგ კი, ზედმეტი რომ არაფერი მეთქვა, პირში ბურთივით ჩამჩარა შაურიანისხელა მრგვალი აბი.

აბა, რას ვიზამდი! ვუძლებდი. მეგობრისთვის რას არ იზამს კაცი!

ძალიან მომინდა მოწევა. ოთახში ვიპოვნე შესანიშნავად შენახული ორი ნამწვავი, მაგრამ რაღ გინდა? — ჩემი უნიკალური უცხოური „ზაჟიგალკა“ მეგობარს გაჰყვა შარვლის ჯიბეში.

ასე და ამრიგად, მეგობრის მიმართ მე ჩემი მისია შევასრულე. მაგრამ არ გინდა ახლა სახლში მისვლა?.. განა ყველა ცოლი გაიგებს ამას.

...გვიანი ღამე იყო, მაგრამ ჩემს ლამაზ მეუღლეს არ ეძინა.

გულახდილად მოვუყევი ყველაფერი, მაგრამ ვატყობდი, არაფერი სჯეროდა, ეჭვიანობდა. ვერაფერი გავაწყვე. მერე მეც გავცხარდი, ერთი ჯიბიდან ნამწვავი ამოვიღე და მეორე ჯიბეში დავიწყე ხელის ფათური.

— რას ეძებ? — მკითხა ცოლმა.

— ჯიბეში ზაჟიგალკა მქონდა!

— აგერ... — და მან მაგიდისკენ მიმითითა.

— რა უნდა ამას აქ?! — საშინელმა ეჭვმა გამჭოლა ძვალსა და რბილში, — როგორ მოვიდა იგი ჩემს სახლში ჩემზე ადრე!.

გამოირკვა, რომ იგი ჩემს მეგობარს დარჩენოდა მაგიდაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრანას რაშჩუსი

# კინძიულისმა თქვა

ერთი ფაბრიკის ორი მუშა ბჭობდა:

— ავტომატები ცვლიან ადამიანებს, — თქვა ერთმა.

— ზოგიერთი ადამიანიც სიამოვნებით შეცვლიდა ზოგიერთ ავტომატს, — უპასუხა მეორემ.

— რატომ? — იკითხა პირველმა.

— ჰკითხეთ კინძიულისს!

კინძიულისმა თქვა: „იმიტომ, რომ ზოგიერთი ავტომატი ფულს იღებს და არ მუშაობს“.

*

კინძიულისი ტურისტებთან ერთად ათვალიერებდა ვილნიუსის ღირსშესანიშნაობებს.

გიდმა ხელი გაიშვირა ერთი უძველესი შენობისაკენ და თქვა:

— ჩვენ ახლა გვერდი უნდა ავუაროთ უძველეს ლუდხანას.

კინძიულისმა იკითხა: „კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა ავუაროთ გვერდი?!“

*

ორმა მოფამფალებულმა მოხუცმა მაღაზიაში მსხვილი თოკი იყიდა და ხარისხის შესამოწმებლად ორივე მხრიდან დაქაჩა. თოკი გაწყდა, ბერიკაცები აქეთიქით გაგორდნენ და სიხარულით თქვეს: „არც ისეთი სუსტები ვყოფილვართო“.

კინძიულისმა თქვა: „თოკი იყო სუსტი“.

*

„თქვენ საბოლოოდ უნდა გამოეთხოვოთ სმას.. თითოეული კათხა ლუდი, თითოეული ჭიქა არაყი, თითო-თითო ახალი ლურსმანია თქვენს კუბოზე“, — უთხრა ექიმმა ავადმყოფს.

„კუბო ხომ ერთია და რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი იქნება ლურსმანი?“ — უთხრა ავადმყოფს კინძიულისმა.



უსიტყვოდ.



Šluota

SATYROS ŽURNALAS

შლუოტა — ლიტვის სსრ. ვილნიუსი.

PIKKER
Satiiri- ja huumoriajakiri

პიკერი — ესტონეთის სსრ. ტალინი.



განდიდების მანია

ნახ. ფ. სამუკასისა



უსიტყვოდ.

ნახ. ა. კაზაკაუსკასისა

კვერცხის დამზადების გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის!



ეროვნული ბიბლიოთეკა

უსიტყვოდ. უსიტყვოდ



# როგორ შეიქმნა კენგურუ

(არასკოლამდელი, უფროსი ასაკის ბავშვებისათვის)

**აურაცხელი** წლის წინათ, ჩვენს ერამდე, მხეცების სამეფოში განიხილეს საკითხი სულიერ არსებათა ასორტიმენტის შესახებ და მიიღეს დადგენილება, შექმნილიყო ოთხფეხა ცხოველის ახალი ასორტიმენტი — კენგურუ, რომელიც გეგმით გათვალისწინებული სილამაზისა უნდა ყოფილიყო — მხეცებში ყველაზე ლამაზი, მაღალი, პროპორციული, მოხდენილი ხელ-ფეხით.

...მაგრამ, ოხ, ეს „მაგრამ..." როგორც ხდება ხოლმე, ახალი უცხო რამ სულიერის შექმნა ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ამან ობიექტური კრიტიკა გამოიწვია, ამას მოჰყვა რევიზია. გამოირკვა, რომ იქ, სადაც მიმდინარეობდა კენგურუს მონტაჟი, ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა.

ვერ გაითვალისწინეს ძველი ბრიგადირის — დათვის ღორული მადა. მას ბევრი თეთრი საღებავი მოეპარა (რითაც კენგურუს შეღებვას აპირებდნენ, ნაკლებოფლიანობა რომ ჰქონოდა) თავისი ოჯახის წევრთა ბეწვის ქურქების შესათეთრებლად. რადგან სხვა ველარაფერი იშოვნეს (სამღებრო სამუშაოები პირველ კვარტალში იყო გეგმით გათვალისწინებული) აიღეს და თეთრი საღებავი რუხით შეცვალეს.

წინა დიდი კიდურებიც არ აღმოჩნდა ბაზაში და, რადგან ამ სახის პროდუქციას იმ ხანად მრეწველობა არ უშვებდა, იგი სტანდარტული მცირეგაბარიტიანი კურდღლის ფეხებით შეცვალეს.

დამპროექტებლების ნამუშევარშიც აღმოჩნდა „მცირე" უზუსტობა.

კენგურუსა და ჟირაფის დეტალების სატიტულო სიები არეოდათ რომელიღაც უფრო სქელკანიანი და მსხვილფეხა ცხოველის ნაწილების სიაში. სწორედ ამ „მცირე" გაუგებრობის გამო დღემდე ჟირაფს შეცდომით იმ დიდი მხეცის კისერი აქვს, ხოლო კენგურუს მისი უშველებელი ფეხები ფეხებზე ჰკიდია.

ასეთივე მცირე გაუგებრობის ნიადაგზე აკიდეს კენგურუს უშველებელი ჩანთა და ვიღაცამ ამაზე ხელებიც მოითბო — ეს უცნაურობა გაფორმდა როგორც რაციონალიზატორული წინადადება!

მდგომარეობიდან გამოსვლის ძებნაში იპოვნეს ლომების სამმართველოს შესასვლელი კარები და რადგან მას ჯერ კიდევ გარკვევით ეწერა „შესასვლელი", შევიდნენ. მოელოდნენ, რომ ლომი, ჩვეულებისამებრ, იღრიალებდა, მაგრამ მან თავი შეიკავა და იგი მხოლოდ გადააქან-გადმოაქანა.

— ...საქმე შემდეგშია, — ამოღერღა ლომმა, — კომპლექსური დაგეგმარების მეცნიერული საფუძვლები, სხვადასხვა ოპერატიული მათემატიკური მეთოდები... დიახ... აბა, რა გეგონათ თქვენ?

— ცამდე მართალი ბრძანდებით! — შეცვალეს მოხსენება და მეორედ ასე მოახსენეს ლომს, — მაგრამ მაინც როგორ მოვიქცეთ?

— ახლა კაპიტალდაბანდებანი უკვე დაბანდებულია, ამჯერად... ყოველ შემთხვევაში... პირველ სერიაში კენგურუ წარმოებაში უნდა ჩავუშვათ ამ სახით.

...და მივიღეთ კენგურუ ამ სახით.

სხვათა შორის, ლომთა სამმართველოდან მას შემდეგ ბევრი წავიდა პენსიაში. როგორც გადმოგვცემენ, ამ ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთი ახალგამოჩეკილი ლომი სეირნობისას ბაღში შეხვედრია გამწარებულ კენგურუს და მხარზე მეგობრულად დაურტყამს ხელი.

— ვიცით, ჩემო კარგო, ვიცით თქვენი მდგომარეობა. რა გაეწყობა! გადავწყვიტეთ, მომავალი წლის კაპრემონტის გეგმაში შეგიტანოთ... მოგეხსენებათ, უწინ ხდებოდა შეცდომები.

რას იზამ, ხდება ხოლმე!

ნახ. ნ. მაკარენკოსი




მ. ტელნიკი

# ძმაო ჩემო!

**მიველი** ერთხელ მაღაზიაში და წავაწყდი... კულტურულ მომსახურებას. გამყიდველი ქალი მუშაობს ტაქტიანად, სწრაფად და იაფად! უბრუნებს მომხმარებელს ხურდას, არ უბრუნებს ენას. ისე ჰყიდის ძეხვს, გეგონებათ, ვარდებს ყიდდეს. სულ იღიმება და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც ისე საეჭვოდ.

**„პატივი ეცით გამყიდველის შრომას“.**—ვკითხულობ კედელზე. და მართლაც, რა მოხდება, რომ დახლის ამ იშვიათ მუშაკს წიგნში მადლობა ჩავუწერო?

ღიმილით ვუახლოვდები ვატრინებს, ვიხრები და ჩუმად ვეუბნები: „მომეცით, გეთაყვა, საჩივრის წიგნი“

— კიდევ რას გვიბრძანებ! — იმპორტული ლიმონივით უყვითლდება პირისახე. ვატყობ, ვერ მიმიხვდა.

— მომეცით საჩივრის წიგნი! — მივმართე კვლავ მშვიდად.

— არ მოგცემ!

— მომეცით! — ავუწიე ხმას.

— ცოცხალი თავით ვერ მიიღებ!

იგი აშკარად ანერვიულდა. მე თავს ვიკავებ.

— გირჩევნიათ, მომცეთ!

— რამდენი ლოთია, იმდენს რომ წიგნი მივცეთ...

— მე ლოთი არ ვარ, არც ახლა ვარ მთვრალი.

— ეგ გამოსაფხიზლებელში დაამტკიცეთ! მე თქვენი ცოლი არა ვარ, ანგარიშს რომ მაბარებთ!

— დეგენერატი! — მცდება პირიდან სიტყვა, ისე რომ მე ძლივს მესმის, მაგრამ იმას რას გამოაპარებ.

— დეგენერატის ხმა მესმის, — ხმამაღლა ამბობს ის.

ალბათ, დამეთანხმებით, რომ მომხმარებლისადმი ამ სიტყვებით ხმამაღლა მიმართვა აშკარა შეურაცხყოფაა. მე ჩუმად ვეუბნები, ის კი ყვირის და მერე რისთვის? თქვენ ხომ მაინც იცით, იმისათვის, რომ მე მსურდა მისთვის მადლობა ჩამეწერა...

მკითხველო, მე და თქვენ ვიცით მხოლოდ ეს. გამგე კი მოდის მშვიდობის მტრედივით და ამბობს:

— დაწყნარდით, სირცხვილია, განა ღირს სალაპარაკოდ ერთი ნაჭერი ძეხვი?!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ზ. პოლინგერისა



როცა „სიმაღლე" ცხვირის
წევით იზომება.



უსიტყვოდ.

ნახ. დ. ტრიფანისა

Кипэруш

კიპერუში — მოლდავეთის სსრ. კიმინიოვი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# КАПКАН

კაპკანი — ჩუვაშეთის ასსრ. ჩებოქსარი.

— გადაწყდა: გცილდები! ტელევიზორი — შენ, ავეჯი — მე, ბავშვი — დედაშენს!



ნახ. ა. ბიკოვისა

ა. მირონოვი



ადგილკომის თავმჯდომარე — ივანე პეტრეს ძე ივანოვი ერთ მეტრზე შეხტა, კაბინეტში მილიციელი რომ შემოვიდა...

— დაბრძანდით! რით შემიძლია გემსახუროთ?

— თქვენთან ვლადიმერ კანარეიკინი მუშაობს?

— რა მოხდა? დაიჭირეს? — წამოხტა ივანე პეტრეს ძე... ასეც ვიცოდი. რამდენი შრომა ჩამიყარა წყალში, რამდენი საუბარი ჩამიტარებია მისთვის სხვადასხვა თემაზე, რამდენჯერ მითქვამს, ფრთხილად, ფეხი არსად წაიტეხო-მეთქი.

მილიციელმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ადგილკომის თავმჯდომარემ არ აცალა:

— გავიგე, მაისის უქმეების შემდეგ, ნაქეიფარი მობრძანებულა და ვიღაცისთვის უბრძანებია, რომ მე ბიუროკრატი ვარ. მარტო ეს რად ღირს! ჯერ მაშინ ეკუთვნოდა ღირსეული სასჯელი.

— ერთი წუთით, ამხანაგო თავმჯდომარევ!..

— არც ერთი წუთით... უფრო მეტს გეტყვით, მე წინასწარ ვიცოდი, გული მიგრძნობდა, რომ მას დამნაშავის სკამი ელოდა და აჰა, ისემც კარგად მეყოლეთ...

— მოითმინეთ, ამხანაგო! თქვენ ვისზე ლაპარაკობთ ამას? — როგორც იქნა შეაწყვეტინა მილიციელმა.

— როგორ თუ ვისზე? ცხადია, კანარეიკინზე! კანარეიკინი ერთია ჩვენთან და მასზე ორი აზრი არც არსებობს.

— ჰოდა, ძალიან კარგი, ჩვენც სწორედ კანარეიკინს დავეძებთ.

— იმალება კიდეც?

— ეტყობა თავმდაბალია და იმიტომ იმალება, — გაეღიმა მილიციელს.

— თუ საიდუმლო არ არის, მაინც რა დააშავა, რისთვის დაეძებთ?.. — წასძლია ცნობისმოყვარეობამ ადგილკომის თავმჯდომარეს.

— რაღა საიდუმლო, მთელმა ქალაქმა იცის...

— ჩვენ ჩუმად მაინც არ გვეტყვით?

— რატომ ჩუმად, ხმამაღლა გეტყვით: თქვენმა კანარეიკინმა წუხელ გმირობა ჩაიდინა: დახრჩობას გადაარჩინა ვიღაც წყალწაღებული და მიიმალა. მე დავალებული მაქვს, მოვძებნო იგი და გადარჩენილის მშობლებს წარვუდგინო.

ახლა თვით ადგილკომის თავმჯდომარე აღმოჩნდა წყალწაღებულის მდგომარეობაში, მაგრამ უბრალო მოკვდავივით არ დაბნეულა და ამაყად განაცხადა:

— მადლობა ღმერთს, რომ უქმად არ ჩაუვლია ჩვენს შრომასა და თემატურ საუბრებს!..

## სამუშაო... მოთხოვნილების მიხედვით

— **დღეს** თქვენ უნდა შეასრულოთ მიწის სამუშაოები და მოამზადოთ ორმო სილოსისათვის! — ჩაატარა ოპერატიული თათბირი ბრიგადირმა.

— არის! — დათანხმდა პალიუკი... ვანიუკი გაზომავს ტრანშეის სიგრძეს, ერმუკი — სიგანეს, მიკული — სიღრმეს, ორმოს გათხრა კი ევალება... მარუსიას.

ნ. ნიკიტინი

## გაკვრით

**რომ** გამოსცე წიგნი, უნდა გახდე მწერალი! რომ გახდე მწერალი, უნდა გამოსცე წიგნი!

**კრიტიკოსმა** ლანძღვით „ძ რ ო ხ ა" მიწოლდა, მაგრამ, ობიექტურობისათვის, რეცენზიაში ქებით მოიხსენია რძე.

**გამოსაფხიზლებელშიც** დაარღვია შინაგანაწესი და იქიდანაც გააგდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Чушканзi

ჩუშკანზი — კომის ასსრ. სიკვილარი.

ნახ. ვ. კოკორევისა



— ღვთის გულისათვის, მაღლა აკად-მყოფია!
—აბა, რა გიშველოთ? მე ექიმი არა ვარ.



## ქორწილი ორდერით

ფეხსაცმელების სახელოსნომ მიიღო ახალი ოროთახიანი ბინის ორდერი.

— ვის?.. — დასვა კითხვა ადგილკომის თავმჯდომარე კრიუკოვმა.

მსურველი ბევრი იყო, ღირსი კი, პირველ რიგში, — სენია.

— ყველაზე გამრჯე კაცია!

— მონდომებული ყმაწვილია!

— ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ მარტოხელა კაცს ოროთახიან ბინას რაიალმასკომი არ დაუმტკიცებს. გამოთქვა ერთი აზრი კრიუკოვმა.

— როგორ, უარს აცხადებს ცოლის თხოვაზე, თუ? — წამოჰყარხლდა ძველი მეწაღე ზიუზევი.

ჰკითხეს სენიას.

— ჯერ ადრეა, აი, შევიკერავ ახალ კოსტუმს და მერე ჯანდაბას!..

— რაო, რაო? ახალ კოსტუმსო?!—იყვირა ზიუზევმა, — მე ცოლი რომ შევირთე, ერთი საცვალი მქონდა. უყურე შენ!

— როგორც გნებოს, მაგრამ ჩვენ, შენი გულისთვის, ოროთახიან ბინის ორდერს ვერ დავკარგავთ. კარგად დაუფიქრდი! გააფრთხილა თავმჯდომარემ სენია.

ერთი უსიტყვო ბიჭი იყო და კინაღამ ატირდა.

— მაპატიეთ, ამხანაგო კრიუკოვ, რა ვქნა, თუ საცოლე არა მყავს!

— მდაა!.. —გააგრძელა კრიუკოვმა, — რაც გინდა, ის ქენი, მაგრამ უნდა გამოძებნო. გაძლევთ 24 საათს.

— რა გამოძებნა უნდა! — წამოიძახა ერთმა თანამშრომელმა, — მე მყავს არცთუ ისე ხნიერი სიდედრი, რომელიც, თუ ცოტა რამეს შეპირდები, სიამოვნებით წაგყვება მმაჩის ბიუროში. მერე კი, როგორც ხდება, რადგან ხასიათებით ვერ შეეწყობით (ეს კი ნაღდია,) გაშორდები. ცოტა ხლაფორთი კია, სამაგიეროდ ოროთახიან ბინას ჩაიგდებ ხელში.

რადგან 24 საათში ადგილკომის თავმჯდომარის გადაწყვეტილების გასაჩივრებასაც ვერ ვასწრებდი, მე თვითონ ვიპოვნე ერთი, ერთი შეხედვით შეუხედავი ახალგაზრდა გოგო და ხელი მოვაწერე.

ვიქორწინეთ. კოსტუმის ფული დავამღერეთ. მივიღეთ ახალი ბინის ორდერი და შევედით სახლში.

მეორე დღეს სენია თავშეხვეული გამოცხადდა სამსახურში.

— ცოლმა გამლახა და სახლიდან გამომაგდო! — საცოდავად ამოიკნავლა მან.

ადგილკომის თავმჯდომარე მიხვდა, რომ წარმოებამ ოროთახიანი ახალი ბინა ახლა კი ნამდვილად დაკარგა.

ა. მატვეევი

ა. მატვეევი.

# კულტურა და ამინდი

**სოფლების** — ტულანისა და მოის კლუბები ჩაებნენ საგაზაფხულო შეჯიბრებაში და გაზრდილი ვალდებულებები აიღეს, რომელიც, გეგმის ზევით, ითვალისწინებდა მხატვრული თვითმოქმედების კონცერტების მოწყობას, ექიმის საუბარს თემაზე — „ისმევა თუ არა ჩიტის რძე“, ლექციას — „რას შობი, არ თხოულობ ცოლს?“, კონკურსს ქალთა შორის: „გულზე ხელი დაიდე, ვისი ნამცხვარი სჯობს“, ძველი მეთევზის გამოსვლას მოგონებით — „როგორ არ უნდა წამოვეგოთ ანკესზე“ და სხვა და სხვა.

შეჯიბრებაში დაწინაურდა სოფელ ტულანის კლუბის გამგე ტოლია. მის კლუბში ტევა არ იყო. მეზობელი სოფლის კლუბის გამგე სენკა ძალზე განიცდიდა ჩამორჩენას, მის კონცერტებზე ქუდი რომ შეგეგდოთ, კლუბში არავინ არ შედიოდა.

სენკამ უმატა მეთოდური სახელმძღვანელოების კითხვას, მაგრამ ამაოდ. ბოლოს იხტიბარი სულ გაუტყდა. იმდენად მოძულდა თავი, რომ თავმოყვარეობა დაკარგა და მიადგა ტოლიას.

— ჩვენი სოფლების კულტურულ შეჯიბრებაში თქვენი წარმატებები აშკარა და საზღაპროა, მაგრამ, ვიდრე თითს მოვკაკვავდეთ, გამიზიარე შენი გამოცდილება და მითხარი ამ წარმატების საიდუმლო! — თხოვა სენიამ ტოლიას.

— შენ ვის უთანხმებდი კულტურული ღონისძიებების გეგმას? — პროფესორივით იკითხა ტოლიამ.

— ადგილკომს, სხვას ვის?

— აი, თურმე რაში ყოფილა საქმე, — თქვა ტოლიამ, — ჩვენ კი, პირველ რიგში, ღონისძიებების გეგმას ვუთანხმებთ ამინდის ბიუროს. ეს კი იმისათვის არის საჭირო, რომ კლუბის ჭერი ჩამონგრეულია და, აბა, წვიმის დროს, ვინ გაიმეტებს თავს?!




ნახ. ს. ხოლოპოვისა

სასწავლო თვალსაჩინოება ზოგიერთი აგრონომისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ახალგამომცხვარი აგრონომი: თქვენ არა თქვით, ისეთი ძროხაა, პირდაპირ რძე გადმოსდის პირიდანო?!

## ძია ფერეიას ხუმრობები

● **ინსპექტორი** ბრაკონიერებს თვითონ კი არ ეჯახებოდა, ჭიქას უჭახუნებდა.

● **ნადირობიდან** რომ ბრუნდებოდა, მზად იყო უცხო პირთათვისაც კი გაეზიარებინა... შთაბეჭდილებები.

● **მის** მონაყოლს ისმენდნენ სულმოუთქმელად... მთხრობელი არყის სუნით ყაროდა.

● **როცა** თევზი შემწვარია, მისთვის ყველა უბედურება უკვე გავლილია.

● **თითოეული** გასროლის შემდეგ „ზალპით“ ცლიდა... ჭიქას.

● **ტყის** ბინადრებს დიდი სიყვარულით უცქეროდა... თოფის სამიზნე ჭრილიდან.



КОНТРОЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ПАЧЕМЫШ

პაჩემიში — მარეთის ასსრ. იოშქაროლა



ნახ. ვ. იაკოვლევისა

— სამსახურის ტელეფონით მთელი დღე ანეგდოტებს ყვება, მე კი მკერავთან ვერ დამირეკია.

ნახ. ზ. ლავრენტიევისა



დ ა თ ვ ი: სასტუმროებში ადგილი არ არის, ეს ოხერი ჩემი ბუნაგი კი ქალაქთან ახლოსაა და ზამთრობით ასე ვწვალობ ხოლმე.

ჟურნალი გააფორმა ნ. მალაზონიამ.

მთავარი
რედაქტორის
მოადგილე
**გიზო ნიშნიანიძე**
სარედაქციო
კოლეგია:
ნ. დუმბაძე
(მთავარი
რედაქტორი)
ზ. ბოლქვაძე
(პ/მგ. მდივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. მალაზონია,
ნ. შველიძე,
ო. ჭელიძე.

თბილისი, რუსთაველის
პროსპექტი № 42.
Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Нианги».
ტელ. რედაქტორის
99-76-69, რედ. მოადგილის
93-49-32.
საერთო განყოფილების
93-10-78.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.
გადაეცა ასაწყობად
16/IX-69 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/X-69 წ.
ქაღალდის ზომა
70×108 1/8.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,
პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 1,4.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ.
№ 14.
ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ
ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14
შეკვ. № 2755.
უე 02380.
ტირაჟი 169.200.

ჰიკერი

ნახ. ე. კიხოსი.

22
1969

ИНДЕКС 76137

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლათინური ამერიკის ლანდშაფტი.